ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11393/01
20/11/2019

11393-01-2-201911201115

შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ გენერალურ დირექტორს
ბატონ **კარიმ გულიევს**

მის: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევი

ბატონო კარიმ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 29 ოქტომბრის №15466 განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, ხობის მუნიციპალიტეტში, ყულევის ნავთობპროდუქტების საცავების N5 სარეზერვუარო პარკის ექსპლუატაციის პირობების (წარმადობის გაზრდა) შეცვლის პროექტის შესახებ.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ. ამასთან, გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის სატიტულო ფურცელი არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #414 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საჭიროებს კორექტირებას. ასევე, ზდჩ ნორმების პროექტის მე-8 და მე-10 გვერდებზე წარმოდგენილი არ არის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით),

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით კორექტირებული დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილე - მ.შ.